თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 8

18. 06. 2019 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, მაია მარკოზაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ''ქართული ოცნება - კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, საკრებულოს წევრი ლელა მენთეშაშვილი, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ წარმოდგენილი სახით ნორმატიული აქტის პროექტი მისაღებია. ცვლილების პროექტი მოიწონეს კომისიის წევრებმაც.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ, წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა აღნიშნა** პროექტის წარმოდგენა განპირობებულია საკრებულოს რეკომენდაციით, რათა აღნიშნული დადგენილება

შესაბამისობაში მოყვანილიყო საქართველოს კანონთან, ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ. კომისიის წევრებმაც მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტს.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ კომისიამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაცია რათა გამოიძებნოს სწორი ფორმა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის გადაცემის შესახებ.

კომისიის წევრებმა ასევე აღნიშნეს რომ შემოსული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ ვადით რა ვადაც დაჭირდება აღნიშნული სამართლებრივი ფორმის შემუშავებას.

გადაწყვიტეს: წარედგინოს აღნიშნული საკითხი ბიუროს სდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. 16 ტელ: 599323778, ელ. ფოსტა: nanakhvistani167@gmail.com

თელავის მუნიციპალიტეტის მერს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

2019 წლის 18 ივნისს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა პროექტი, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხათა კომისიამ მიჩნია, რომ აუცილებელია შეირჩეს სწორი სამართლებრივი ფორმა, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის განხორციელებისას, კერძოდ სწორად იქნას განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელიც საჭიროებს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას და ასევე დადგენილ იქნას ის კრიტერიუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტი საკუთარი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეძლევათ რეკომენდაცია შეიქმნას სოციალური პროგრამა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უსახლკარო მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის

2019 წლის 18 ივნისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ნანა ხვისტანი
2. ტიტე დარეჯანიშვილი
3. დავით ღაღანიძე
4. მაია მარკოზაშვილი
5. ლევან კოჭლოშვილი
6. ზურაბ ლილუაშვილი
7. არჩილი თვალიაშვილი
8. ზაქარია გრიშიკაშვილი